


The Bilingual Scientific Online Journal of the **Academy for Digital Humanities**

დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია – საქართველოს
ორენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინჟურნალი

დიგიტალური ქართველოლოგია



Digital Kartvelology

Volume 4

Dedicated to the 100th Birthday of Mzekala Shanidze (16.1.2026)
ეძღვნება მზექალა შანიძის დაბადების 100 წლისთავს (16.1.2026)

Tbilisi / თბილისი

2025

The journal **Digital Kartvelology** aims to promote the development of Digital Kartvelology and to create an academic platform for specialists working in Digital Humanities to publish scientific papers. The journal covers the following fields: Digital Humanities, Digital Kartvelology, Digital Caucasiology, Digital Lexicography, Translation Studies, Georgian Language Technologies, Corpus linguistics, Documentary Linguistics, Digital Manuscript Studies, and others.

ჟურნალი **დიגיტალური ქართველოლოგია** მიზნად ისახავს დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების ხელშეწყობას და წარმოდგენს აკადემიურ პლატფორმას აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებისთვის სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. ჟურნალში წარმოდგენილია შემდეგი დარგები: დიგიტალური ჰუმანიტარია, დიგიტალური ქართველოლოგია, დიგიტალური კავკასიოლოგია, დიგიტალური ლექსიკოგრაფია, თარგმანმცოდნეობა, ქართული ენის ტექნოლოგიები, კორპუსლინგვისტიკა, დოკუმენტლინგვისტიკა, ხელნაწერთა დიგიტალური შესწავლა და სხვა.

Scientific Council:

Chairman of the Scientific Council: Jost Gippert (Germany)

Members of the Scientific Council: Manana Tandashvili (Germany), Paul Meurer (Norway), Bernard Outtier (France), Iryna Gurevych (Germany), Tony McEnery (England), Mzekala Shanidze (Georgia), Tinatin Margalitzadze (Georgia), Nino Pirskhalava (Georgia), Vakhtang Litcheli (Georgia)

Secretary of the Scientific Council: Mariam Kamarauli (Germany)

სამეცნიერო საბჭო:

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: იოსტ გიპერტი (გერმანია)

სამეცნიერო საბჭოს წევრები: მანანა თანდაშვილი (გერმანია), პაულ მოირერი (ნორვეგია), ბერნარ უტიე (საფრანგეთი), ირინა გურევიჩი (გერმანია), ტონი მაკენერი (ინგლისი), მზექალა შანიძე (საქართველო), თინათინ მარგალიტაძე (საქართველო), ნინო ფირცხალავა (საქართველო), ვახტანგ ლიჩელი (საქართველო)

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: მარიამ ყამარაული (გერმანია)

Editorial Board:

Manana Tandashvili (Editor-in-Chief), Darejan Tvaltvadze (Editor), Ramaz Khalvashi, Maia Lomia, Ketevan Margiani, Ketevan Datukishvili, Khatuna Beridze, Natia Dundua (Executive Secretary), Kakhaber Loria, Luka Nakhutsrishvili

სარედაქციო საბჭო: მანანა თანდაშვილი (მთავარი რედაქტორი), დარეჯან თვალთვაძე (რედაქტორი), რამაზ ხალვაში, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ხათუნა ბერიძე, ნათია დუნდუა (ადმინისტრაციული მდივანი), კახაბერ ლორია, ლუკა ნახუცრიშვილი



დიგიტალური
ჰუმანიტარიის
აკადემია

© Academy for Digital Humanities - Georgia

© დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია - საქართველო

ISSN: 2720-8427 (online)

Digital Kartvelology, Vol. 4, 2025

დიგიტალური ქართველოლოგია, ტომი 4, 2025

Content/სარჩევი

I. Digital Manuscripts Study / ხელნაწერთა დიგიტალური შესწავლა

Jost Gippert (Hamburg University) Georgian Palaeography Revisited: Dating Undated Manuscripts იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი) ქართული პალეოგრაფიის რევიზია: დაუთარიღებელი ხელნაწერების დათარიღება	5
Sebastian Bosch, Eka Kvirkvelia (Hamburg University) Georgian Manuscripts from the Graz and Leipzig Collections: Results of Ink Analysis სებასტიან ბოში, ეკა კვირკველია (ჰამბურგის უნივერსიტეტი) გრაჯისა და ლაიფციგის კოლექციების ქართული ხელნაწერები: მელნის ანალიზის შედეგები	29
Emilio Bonfiglio (Hamburg University) Armeno-Georgian Connections through the Lens of Palimpsested Manuscripts ემილიო ბონფილიო (ჰამბურგის უნივერსიტეტი) სომხურ-ქართული კავშირები პალიმფსესტური ხელნაწერების პრიზმაში	53
Philipp Paetzold & Samaneh Ehteram (Hamburg University), Lars Krämer, Fabian Isensee (Heidelberg University), Andreas Schropp, Christian G. Schroer, Jost Gippert (Hamburg University) Non-Destructive Investigation of a Georgian Codex Binding Using a Portable Computed Tomography Scanner ფილიპ პეტოლდი, სამანე ეთერამი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ლარს კრემერი, ფაბიან იზენზე (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი), ანდრეას შროპი, კრისტიან შროერი, იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი) ქართული კოდექსის არამრღვევი მიდგომა პორტატული კომპიუტერული ტომოგრაფიის სკანერის გამოყენებით	75
დარეჯან გოგაშვილი (კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი) ხე. როგორც იშვიათი საწერი მასალა საქართველოში: XIV–XV საუკუნეების სვანური ისტორიული საბუთების მიხედვით Darejan Gogashvili (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi) Wood as a Rare Writing Material in Georgia. According to Svan Historical Documents of the 14 th –15 th Centuries	85

III. Old Georgian Philology / ძველი ქართული ფილოლოგია

- Bernard Outtier** (Bibliothèque du Caucase, Saint-Martin-de-la-Mer) 101
Some Unedited Witnesses of the Old Georgian Translation of the Psalms
ბერნარ უტიე (კავკასიის ბიბლიოთეკა, სენ მარტენ დე ლა მერი)
ფსალმუნების ძველი ქართული თარგმანის რამდენიმე გამოუცემელი
ხელნაწერი
- Maia Matchavariani** (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi) 131
Reading and Commenting Gregory the Theologian: Davit Tbeli's Translations
მაია მაჭავარიანი (კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, თბილისი)
გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ინტერპრეტაცია: დავით ტბელის
თარგმანები
- Thamar Otkhmezuri** (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi) 149
The Influence of Basilus Minimus' Commentaries on the Georgian Translations of
Gregory the Theologian's Sermons
თამარ ოთხმეზური (კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი, თბილისი)
ბასილი მინიმუსის კომენტარების გავლენა გრიგოლ ღვთისმეტყველის
საკითხავთა ქართულ თარგმანებზე

III. Computational Linguistics / კომპიუტერული ლინგვისტიკა

- Mariam Kamarauli** (Frankfurt University / Hamburg University), **Anastasia Kamarauli** (FH Upper Austria Hagenberg University, Batumi University) 165
Unbound and Untamed? A Corpus-Based Exploration of Georgian Function Words
მარიამ ყამარაული (ფრანკფურტის უნივერსიტეტი / ჰამბურგის
უნივერსიტეტი), ანასტასია ყამარაული (ჰაგენბერგის უნივერსიტეტი /
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
შეუზღუდავი (თავისუფალი) და დაუმორჩილებელი? ქართული ენის
ფუნქციური სიტყვების კორპუსზე დაფუძნებული კვლევა

IV. Translation Studies / თარგმანმცოდნეობა

- George Hewitt** (School of Oriental and African Studies, London) 195
The Parable of the Prodigal Son (Luke 15:11-32). A Comparison of Georgian and
Abkhaz Translations (in relation to the Greek original)
ჯორჯ ჰიუიტი (აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლა,
ლონდონი)
უძღები შვილის იგავი (ლუკას სახარება 15:11-32): ქართული და აფხაზური
თარგმანების შედარება (ბერძნული დედნის გათვალისწინებით)

ხე, როგორც იშვიათი საწერი მასალა საქართველოში: XIV–XV საუკუნეების სვანური ისტორიული საბუთების მიხედვით

დარეჯან გოგაშვილი (თბილისი)

DOI: <https://doi.org/10.62235/dk.4.2025.10510>
gogashvilid@gmail.com || ORCID: [0000-0001-8287-9845](https://orcid.org/0000-0001-8287-9845)

აბსტრაქტი: სვანური ისტორიული საბუთებისთვის საწერ მასალად, ძირითადად, სვანეთის ჭეშმარიტების ეკლესიებში დაცული ხელნაწერების აშეები ან ტექსტისაგან თავისუფალი, დაუწერელი გვერდებია გამოყენებული. საბუთებს, საკუთრივ ტექსტთან კავშირი არ აქვთ, დამოუკიდებლად არსებობენ და მინაწერი ისტორიული საბუთების სახელით არიან ცნობილი. იშვიათია საბუთები, რომლებიც ხეზეა ნაწერი. ხე, საქართველოში, საწერ მასალად გამოყენებული არ ყოფილა, ის მხოლოდ სვანეთში, კალის ჭეშმარიტების ეკლესიაში დაცულია და ამ თემის საბუთებიც, ადგილობრივ, სამწახნაგად, ოთხწახნაგად, ხუთწახნაგად ან შვიდწახნაგად გათლილი ხისგან დამზადებულ საწერ მასალაზეა დაწერილი. საბუთები XIV-XV საუკუნეებით თარიღდება, ყოველი მათგანი კალის ხეზე უკავშირდება და შეიცავს საერთო სახეგო დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, თემებს შორის ან თემებსა და კერძო პირებს შორის დადებულ პირობებს და სხვა. საბუთები გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან, რასაც უპირველესად, საწერი მასალა და ფორმა განაპირობებს. სვანური საბუთების შესწავლა-შეკრება XIX საუკუნის 30-იან წლებიდან დაიწყო. მიუხედავად მრავალი პუბლიკაციისა, ხე, როგორც საწერი მასალა, კვლევისა და შესწავლის საგანი არ გამხდარა. არ არსებობს პუბლიკაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება, ამ იშვიათი და ქართულ ხელნაწერ პრაქტიკაში სრულიად განსხვავებული საწერი მასალის დამზადებისა და გამოყენების წესები. სტატიაში განხილულია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი საბუთი, წარმოდგენილია მათი კოდიკოლოგიური მახასიათებლები, ყურადღებაა გამახვილებული ფორმაზე, წახნაგების რაოდენობასა და ტექსტის ორგანიზებაზე. ხე, როგორც იშვიათი საწერი მასალა XIV-XV საუკუნეების საქართველოში, კერძოდ კი, ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან ისტორიულ – გეოგრაფიულ მხარეში, სვანეთში, განხილულია შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის ერთიან ისტორიულ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ხე, როგორც საწერი მასალა, სვანური ისტორიული დოკუმენტები, სვანეთის ეკლესიები

ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში ძირითად საწერ მასალას ეტრავი და ქაღალდი წარმოადგენდა. პაპირუსი, რომლის ქართული შესატყვისია ჭილი, საქართველოში საწერ მასალად გამოყენებული არ ყოფილა. დღეისათვის ცნობილია მასზე შესრულებული მხოლოდ ორი ქართული ხელნაწერი და ორივე

საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებშია შექმნილი, ესენია IX–X საუკუნეებით დათარიღებული, პაპირუსის ფსალმუნი¹ და X საუკუნის საგალობელთა კრებული – ჭილ-ეტრატის იადგარი (H-2123).

ხელნაწერი H-2123 მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, უპირველესად კი, გამოირჩეულია საწერი მასალისა და ფორმისა თვალსაზრისით; გადაწერილია ჭილიზე და ეტრატზე, აქვს კოდექსის ფორმა, თითოეული რვეული შედგება ეტრატის ოთხი (ორი ბიფოლიო) და პაპირუსის ექვსი (სამი ბიფოლიო) ფურცლისაგან.² ხელნაწერში, თითქმის ყოველთვის დაცულია სამწიგნობრო ხელოვნებაში მიღებული, ეტრატის რვეულებად დაკეცივისა და დაწყოების წესი, პაპირუსის ფურცელი კი, დაკეცილია ვერტიკალური მიმართულებით და რვეულებად დაწყობილია ისე, რომ დარღვეულია სიმეტრია.³

უძველესი ქართული ხელნაწერები, ეტრატზეა შესრულებული და თითქმის XIV საუკუნემდე – პრივილეგირებული საწერი მასალაა ქართულ ხელნაწერ პრაქტიკაში. X–XI საუკუნიდან გავრცელებას იწყებს ქაღალდი. ჩვენამდე მოღწეული, ქაღალდზე ნაწერი უძველესი ქართული ხელნაწერი – Sin. georg. 34, X საუკუნის შუა წლებით თარიღდება და სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავშია დაცული,⁴ ხოლო საქართველოში გადაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერი ქაღალდზე – ადიშის იადგარი, X–XI საუკუნეებითაა დათარიღებული და მესტიის მუზეუმშია დაცული.⁵

დღეისათვის არსებული მონაცემებით, ხე, ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში საწერი მასალის დასამზადებლად გამოყენებული არ ყოფილა,⁶ ასეთი ფაქტი

¹ პაპირუსზე ნაწერი ფსალმუნი, Sin. georg. 98 (Tsag. 1) სინის მთის ქართველთა მონასტრიდანაა, დღეისათვის შემორჩენილია ძალზე დაზიანებული, დაშლილი, ფრაგმენტული სახით და ინახება სინის მთაზე. მისი კუთვნილი ორი ფურცელი, 1883 წლიდან დაცულია სანკტ-პეტერბურგში, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. ხელნაწერის შესახებ იხ. შანიძე 2017: 191–193, 196–197; Gippert & Outtier 2021: 41–65; Vasileva 2019: 18 and 53; Outtier, ამ ტომში.

² ჭილ-ეტრატის იადგარი, ხეც H-2123 საბაწმიდის ლავრიდანაა და დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. შანიძე და სხვ. 1977: 213–219; მეტრეველი და სხვ. 1978: 229–239.


³ გაშლილ ხელნაწერში არ ხდება პაპირუსის ფურცლის შემადგენელი პორიზონტული (recto) და ვერტიკალური (verso) ზოლების თანხედრობა. კერძოდ, recto ყოველთვის წინ უსწრებს verso-ს რვეულის პირველ ნახევარში, ხოლო verso – recto-ს რვეულის მეორე ნახევარში. პაპირუსის შემადგენელი ბოჭკოებისა და ზოლების ურთიერთმიმართება განსაზღვრა, უშუალოდ, H-2123-ის ვიზუალური შესწავლისა და მაღალი ხარისხის ციფრული ასლების გამოყენებით.

⁴ Sin. georg. 34 (Tsag. 19), ლიტურგიკული კრებული, შემადგენელ-რედაქტორი – იოვანე-ზოსიმე, შესრულებულია ეტრატზე და ქაღალდზე, შეიცავს 210 ფურცელს. ფურცლები: 124–129, 132–137, 147–195 ნაწერია ქაღალდზე. გარიტის აღწერილობით, 147–195 ფურცლების ქაღალდი არის ძალიან ძველი, თხელი, გაშავებული და მეღვინისაგან დაზიანებული. Sin. georg. 34-ის აღწერილობისთვის იხ. Цагарели 1888: 206; ჯავახიშვილი 1947: 54; Garitte 1958: 15, 17; მეტრეველი და სხვ. 1978: 94.

⁵ სიემ მესტია #479 (კ-74) ტაო-კლარჯულია, გადაწერილია იოანეს მიერ, მამათმთავარი სტეფანე ერუშნელის დაკვეთით. 1948 წლიდან ინახება მესტიის მუზეუმში. ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. ხეც, საქ. № 369, ფ. 12; გაგნიძე და სხვ. 2015: 280.

⁶ საწერი მასალის დასამზადებლად ხის გამოყენება ქართულ ხელნაწერ პრაქტიკაში დღეისათვის დადასტურებული არ არის, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული, ძვლისა და მეტალის სტილოსების სიმრავლე, უდაოდ მიუთითებს ცვილით დაფარული ხის ფირფიტების არსებობის შესაძლებლობაზე. საწერ მასალად ხის ფირფიტების (ე. წ. ფიცარი) გამოყენებას ვარაუდობს ი.

მხოლოდ სვანეთში, კერძოდ, კალის ჭვეში დასტურდება და მასზე ამ ჭვეთან დაკავშირებული ისტორიული საბუთებია ნაწერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანური საბუთებისთვის საწერ მასალად, ძირითადად, სვანეთის თემების ეკლესიებში დაცული ხელნაწერების აშიები ან ტექსტისაგან თავისუფალი – დაუწერელი გვერდებია გამოყენებული. ცნობილია, რომ სვანეთის ყოველ ჭვესა და სოფელს თავისი ეკლესია აქვს, საბუთების მოთავსება ხელნაწერების აშიებზე და მათი ასეთი სახით დაცვა და შენახვა ეკლესიებში, საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ საქართველოში და, როგორც სილოგავა აღნიშნავს, მრავალი ისტორიული საბუთი სწორედ ასეთი სახით არის მოღწეული ჩვენამდე.⁷ კალის ჭვეი, ამ საერთო წესს არ მისდევს და საბუთებისთვის ხისგან დამზადებულ საწერ მასალას იყენებს, გამონაკლისია კალის ჭვეის მხოლოდ ორი საბუთი, რომლებიც ხელნაწერი წიგნების აშიებზეა მოთავსებული. კერძოდ, კორიდეთის ბერძნული ოთხთავის (ხეც Gr-28) აშიებზე ნაწერია XV საუკუნის საბუთი,⁸ ხოლო H-1836^ა-ის აშიებზე – XVII საუკუნით დათარიღებული საბუთია მოთავსებული⁹ (სურ. 1). საბუთებს, საკუთრივ ხელნაწერის ტექსტთან კავშირი არ აქვთ, დამოუკიდებლად არსებობენ და მინაწერი ისტორიული საბუთების სახელით არიან ცნობილი.



A

B

სურ. 1: Gr-28, 188 recto (A); H-1836^ა, 9 verso – 10 recto (B): ძირითად ტექსტსა და ისტორიულ დოკუმენტს შორის გადმოდგენილი კონტრასტი.

სვანური საბუთების შესწავლა-შეკრება XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. მათ კვლევას მრავალი პუბლიკაცია მიეძღვნა, გამოქვეყნდა, როგორც ცალკეული საბუთების ტექსტები (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ნ. მარი, გურია-

გიპერტი, მაგრამ ამავდროულად უძველესი ნიმუშების არარსებობაზეც მოუთხოვს, იხ. Gippert 2015: 177.

⁷ სილოგავა 1986: 21–24; სილოგავა 1989: 5.

⁸ ხეც Gr-28 XIV–XV სს-დან, 1869 წლამდე ინახებოდა სოფ. კალაში, წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში (42°56'20.1" N, 42°54'24.9" E), შესაბამისად მასზე კალის ჭვეის საბუთია მოთავსებული (187 recto – 188 recto; იხ. https://manuscripts.csntm.org/manuscript/Group/GA_038_digital#), სილოგავა 1986: 220; ხელნაწერის ისტორიისთვის იხ. სილოგავა 1989: 8–11; ბეზარაშვილი 2015: 44–45, 49.

⁹ საბუთი მოთავსებულია ხელნაწერის ქვედა აშიებზე (8 verso – 11 recto), სილოგავა 1986: 223; ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. მეტრეველი 1950: 236–237.

სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, ბ. ნიუარაძე, ექ. თაყაიშვილი, სარ. კაკაბაძე, ე. გაბლიანი, ს. მაკალათია, ელ. მეტრეველი, ი. გიპერტი და სხვა),¹⁰ ასევე მომზადდა კრებულები, სადაც მასალა შესწავლილი და დალაგებულია სხვადასხვა პრინციპით: ბ. ნიუარაძისა და ა. ხახანაშვილის გამოცემული საბუთები (ტექსტები, მოკლე შინაარსი, რაობა) დალაგებულია დამწერლობის მიხედვით (ნუსხური, მხედრული); პ. ინგოროყვას მიერ მომზადებულ კრებულში მასალა დაყოფილია თემატურად (მაგ. აქტები პატრონ-ყმობისა, სათემო აქტები სვანეთის ცალკე ჯგუფათა, წიგნი სასისხლო საქმისა ბაღს ზემო სვანეთისა, კერძო აქტები და სხვა);¹¹ მ. ბერძნიშვილის პუბლიკაციაში საბუთები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;¹² გ. სილოგავას მიერ მომზადებულ წიგნში – „სვანეთის წერილობითი ძეგლები“ – თავმოყრილია დღეისათვის ცნობილი ყველა ისტორიული საბუთი,¹³ ნაწერი როგორც ხელნაწერი წიგნების არშიებზე და დაუწერელ გვერდებზე, ასევე ხეზე, ანუ „ხის გათლილ ჯოხებზე“ (გ. სილოგავა). პუბლიკაციაში საბუთები დალაგებულია ჯგუფების მიხედვით.¹⁴

მიუხედავად მრავალი პუბლიკაციისა, ხე როგორც საწერი მასალა კვლევისა და შესწავლის საგანი არ გამხდარა, არ განხილულა შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის ერთიან ისტორიულ კონტექსტში, სვანური ისტორიული საბუთები გამოსაცემად მომზადდა, როგორც მასალა, დოკუმენტური წერილობითი საისტორიო წყარო. ამდენად, ცალკეული მოსაზრებების გარდა,¹⁵ არ არსებობს პუბლიკაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს მხარეში – სვანეთში, ამ იშვიათი და ქართულ ხელნაწერ პრაქტიკაში სრულიად განსხვავებული საწერი მასალის დამზადებისა და გამოყენების წესები ან კოდიკოლოგიური მახასიათებლები.

პირველი ცნობა ხეზე დაწერილი სვანური ისტორიული საბუთების შესახებ ეკუთვნის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს,¹⁶ მან პირველმა გააკეთა აქცენტი ხეზე, როგორც საწერ მასალაზე და 1973 წლამდე ეს იყო ერთადერთი გამოქვეყნებული ცნობა, საქართველოში, ხის საწერ მასალად გამოყენების შესახებ.

¹⁰ სვანური საბუთების ტექსტების შესწავლის ისტორიისთვის იხ. სილოგავა 1986: 8–40; 94–96; იხ. ასევე Gippert 2013: 83–160.

¹¹ ინგოროყვა 1941.

¹² ბერძნიშვილი 1968.

¹³ მათ შორის, ცხრა ეპიგრაფიკული საბუთი – ნაკაწრი წარწერები (გრაფიტები) მოთავსებულია ეკლესიის კედლებზე (იფრარის მთავარანგელოზის ეკლესია, ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია, ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესია, ადიშის მაცხოვრის ეკლესია და სხვა); სილოგავა 1986: 33–34, სილოგავა 1988: 188–190, 194, 199, 200, 204, 207.

¹⁴ სილოგავა 1986.

¹⁵ ბერძნიშვილი ეტრატთან და ქადაგდთან შედარებით, ხეს მიიხსენებს უფრო მტკიცე და გამძლე საწერ მასალად, ყურადღებას ამახვილებს წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას სახელობის ეკლესიის მნიშვნელობაზე და ფიქრობს, რომ სწორედ ამ სალოცავის პოპულარობა განაპირობებდა მის სახელზე გაცემული საბუთებისთვის ხის, როგორც უფრო გამძლე მასალის გამოყენებას (Бердзнишвили 1988: 183–184); სილოგავა ამ ფაქტს, სვანური საბუთების ერთი ჯგუფის დიპლომატიკური თავისებურებით ხსნის და საბუთების ტექსტის შესანახად გარიგების მონაწილე ორ მხარეს შორის განაწილებას ვარაუდობს (სილოგავა 2008: 202).

¹⁶ Епископ Григории 1893: 22, 47.

1972 წელს, სოფელ კალის წმ. კვირიკეს ეკლესიის (სვანურად, „ლაგურკა“) საკურთხევლის ნიშაში აღმოჩნდა მანამდე უცნობი ხეზე დაწერილი 20 ისტორიული საბუთი,¹⁷ მათი ტექსტები არქეოგრაფიულ აღწერილობასა და რამდენიმე შავ-თეთრ ფოტოსთან ერთად გამოქვეყნდა 1973 წელს.¹⁸ დღეისათვის საბუთების რაოდენობა 27 ერთეულით განისაზღვრება, პალეოგრაფიულად, XIV–XV საუკუნეებით თარიღდება, ყოველი მათგანი კალის ჰეგს უკავშირდება და შეიცავს საერთო სახეგო დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, თემებს შორის ან თემებსა და კერძო პირებს შორის დადებულ პირობებს სხვა.¹⁹

როგორც ჩანს, საბუთები ადგილობრივ, კალის თემში შეიქმნა²⁰ და იქვე, ეკლესიაში ინახებოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში კოლექცია დანაწილდა, შვიდი – გაიტანეს ეკლესიიდან. ამჟამად, ორი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში,²¹ ხუთი – მესტიის მუზეუმში,²² ძირითადი ნაწილი კი, ოცი ერთეული, ისევ სოფელ კალაში, წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას ეკლესიის საკურთხევალში ინახება.²³ ეკლესიაში დაცული საბუთები ძნელად ხელმისაწვდომია, არც 1972 წლის ექსპედიციის დროს გადაღებული შავ-თეთრი ფოტოპირები იძებნება, ასევე არ არსებობს მათი მაღალი ხარისხის ციფრული ასლები, რომლებიც საბუთების კოდიკოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრის, მათ ერთ მთლიან კონტექსტში განხილვის, დანაწილებული კოლექციის დიგიტალურად თავმოყრისა და გაერთიანების საშუალებას მოგვცემდა. დღეისათვის, მხოლოდ იმის თქმაა შესაძლებელი, რომ საბუთების ტექსტი ცვალებადი სიგრძის (იცვლება 150 მმ-დან 580 მმ-მდე) წახნაგოვან ხეზეა ნაწერი, წახნაგების რაოდენობა სხვადასხვაგვარია და იცვლება სამიდან შეიდანამდე.²⁴

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ ორ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ საბუთს. ორივე საბუთი ნაწერია ოთხწახნაგიან ხეზე, შავი მელნით. ხის ჯიშის იდენტიფიცირებისა და მელნის ანალიზი ამ ეტაპზე არ ჩატარებულა. ხის ბოჭკოების მიმართულება და მელნის სავარაუდო ტიპი განისაზღვრა უშუალოდ საბუთების ვიზუალური შესწავლისა და ციფრული ასლების გამოყენებით. დიგიტალურ ფოტოზე (Qd-7975, წახნაგი 4; Qd-7976, წახნაგი 2, წახნაგი 3) ნათლად ჩანს როგორც ხის ბოჭკოების მიმართულება, ასევე მელნის ტიპის განმსაზღვრელი ვიზუალური მახასიათებლები (ფერი, ფაქტურა,

¹⁷ საბუთები გამოვლინდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი – მიხეილ ჩართოლანი), რომლის მიზანს სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა წარმოადგენდა (ჩართოლანი 1975: 165, 171).

¹⁸ სილოგავა 1973: 174–181, ტაბულა I–X; იხ. ასევე, ჩართოლანი 1975: ტაბულა VIII.

¹⁹ სილოგავა 1986; ინგოროყვა 1941.

²⁰ საბუთების დამწერი სვანი მწიგნობრების შესახებ იხ. სილოგავა 2008: 187–204.

²¹ ხეც, Qd 7975, ხეც, Qd 7976.

²² სიემ მესტია ## 16 (კ-78), 17 (კ-28); 18 (კ-79), 19 (კ-77), 20 (კ-27) საინვენტარო წიგნის მიხედვით, საბუთები კალიდან არის და მუზეუმში ინახება 1936 წლიდან. საბუთები მესტიის მუზეუმის მუდმივმოქმედ გამოფენაზეა წარმოდგენილი; იხ. ასევე, მესტიის მუზეუმის კატალოგი, გოგაშვილი 2014: 204–205.

²³ ლაგურკა ##1–20.

²⁴ მონაცემები აღებულია ვ. სილოგავას პუბლიკაციიდან, იხ. სილოგავა 1986: 33, 219–234; ## 140–165.

საწერი მასალის ფორმებში შედგენადობის უნარი) და ტიპური დაზიანებები (ტენისადმი მდგრადობა, ინერტულობა, გადარეცხვა/წაშლა და სხვა), რის საფუძველზეც მეღნის ტიპად, ჭკარტლის ანუ ნახშირბადის მეღანი ვივარაუდეთ²⁵ (სურ. 2).



სურ. 2: Qd-7975, Qd-7976, დეტალები

I. Qd-7975, XIV ს., დაწერილი უშგულისა და კალის კეცების ერთობისა, მოწმობითი ნაწილი,²⁶ მხედრული, ტექსტი ნაწერია ხის ბოჭკოების პარალელურად, განკვეთილობის ნიშანად გამოყენებულია, ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, ზომები იცვლება წახნაგების მიხედვით და მერყეობს: სიგრძე, 273 მმ-დან – 276 მმ-მდე; სიგანე, 37 მმ-დან – 14 მმ-მდე, შესაბამისად იცვლება წახნაგებზე მოთავსებული ტექსტის სტრიქონების რაოდენობა – პირველ წახნაგზე ოთხი სტრიქონია, მეორეზე და მესამეზე – ორ-ორი, მეოთხეზე კი – ერთი (სურ. 3, ცხრილი 1).

II. Qd-7976. XIV ს., დაწერილის ფრაგმენტი, მოწმობითი ნაწილი,²⁷ მხედრული, ტექსტი ნაწერია ხის ბოჭკოების პარალელურად, განკვეთილობის ნიშანად გამოყენებულია, ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, ზომები იცვლება წახნაგების მიხედვით და მერყეობს: სიგრძე, 130 მმ-დან – 142 მმ-მდე; სიგანე, 19 მმ-დან – 24 მმ-მდე, შესაბამისად იცვლება სტრიქონების რაოდენობა წახნაგებზე: პირველ წახნაგზე ოთხი სტრიქონია, დანარჩენ სამ წახნაგზე კი – სამ-სამი (სურ. 4, ცხრილი 2).

²⁵ არ გამოვრიცხავთ ე. წ. „შერეული მეღნის“ არსებობასაც, თუმცა ანალიზის გარეშე, დაზუსტებით რაიმეს თქმა ძნელია.

²⁶ ტექსტი გამოცემულია: ინგოროყვა 1941: 71; სილოგავა 1973: 173; სილოგავა 1986: 234; ტექსტი მოტანილია ე. სილოგავას მიხედვით და შეჯერებულია უშუალოდ საბუთთან.

²⁷ ტექსტი გამოცემულია: ინგოროყვა 1941: 106; სილოგავა 1973: 174; სილოგავა 1986: 229; ტექსტი მოტანილია ე. სილოგავას მიხედვით და შეჯერებულია უშუალოდ საბუთთან. შეჯერების შედეგად გამოიკვეთა მცირე შეუსაბამობა, კერძოდ, Qd-7976 საბუთის მოწმობითი ნაწილია, რომელსაც ბოლოში დამტკიცების ნიშნად დასმული აქვს ჯვრები, სილოგავას მიხედვით, ჯვრების რაოდენობა 11-ია, ჩვენი დაკვირვებით – 10.



სურ. 3: Qd-7975, ტექსტის ორგანიზება წახნაგების მიხედვით.


ცხრილი 1: Qd-7975-ის სტრუქტურა				
Qd-7975. XIV ს. დაწერილი უშულისა და კალის ჰევეების ერთობისა, მოწმობითი ნაწილი				
წახნაგები	წახნაგის სიგრძე (მმ) წიბოების მიხედვით	წახნაგის სიგანე (მმ) მარცხნიდან მაჯგნეივ	ტიპსტი	სტრიქონების რ-ბა
I	273 – 270	37 – 34	უჯობდეს: გულმართლად: მას ვიჭიროდეთ: თქვენიანად: და	1
			უთქვენილ და: რასაცა: პირსა: ზედა:	2
			შედეგმილ: გართ: არ გაგი	3
			ტეხოს: ჰეუმ(ან): ჰეუსა: ჰეობითა: თუ გაგიტეხოს: რაიც: ჩვენ	4
II	270 – 273	19 – 14	სა: შხერასა: უფოთ: იმისა: საქმესა: არას: გერხოლეთ: თუ ერთ	1
			მ(ან): ანუ: ორმ(ან): გაგვიტეხოს: ერთობილ: წავეკიდოთ: ამასა: გათა ვებისა: თაუსდებად: მოგვიტეხებია: დედაი ღ(მდ)თისა: უშგულის(ა)	2
III	273 – 276	15 – 16	წმიდაი: კვირიკე: კალისა: კაცთაგან: ადაი გომგოთელიან(ი): ხოჯი: ჩარგა	1
			სიანი: გიორგი: დადილიან(ი): დათვია: გელგვანი: მე ფარსმ(ან)	2
IV	276 – 273	19 – 17	ანბარეიანსა: დამიწერია: და: მოწამეც: ვარ:	1



სურ. 4: Qd 7976, ტექსტის ორგანიზება წახნაგების მიხედვით.


ცხრილი 2: Qd-7976-ის სტრუქტურა				
Qd-7976. XIV ს. დაწერილის ფრაგმენტი, მოწმობითი ნაწილი				
წახნაგები	წახნაგის სიგრძე (მმ) წიბოების მიხედვით	წახნაგის სიგანე (მმ) მარცხნიდან მარჯვნივ	ტექსტი	სტრიქო- ნების რ-ბა
I	136 – 134	23 – 24	ურავი: არა: დიდი: და: არ: პატა	1
			რაი: არაის: თანა: არა(ი): მოკეთეო	2
			ბისაგან: კიდეში: ალა(რ)ც: არას: გერხოლე	3
			თ: ამისა: გათაგებისა: თაუ	4
II	134 – 130	24 – 20	სდებად: მოგა[იკსენებია: პ(ირველ): ლ(მერთი):	1
			დაუსაბამოი: [მაცხოვარი] [მრივ] მერისა (?)	2
			ამისნი მოურაური და მოწამენი არიან:	3
III	130 – 142	21 – 22	ხურსი: კესონიანი: აქულა: კონბერია ნი	1
			დათვია(ნი): გ(იორგ)ი: გელ(ო)ვანი: ადაი: დათელი	2
			ანი: დაულა: ივანე: დაუვლიანი: და მ	3
IV	142 – 136	22 – 19	იქაელ: გაკელია(ნი) ივანე დაუვლიანი მე	1
			მ(უ)შკუდიანსა: აღმართის დამიწერია	2
			და მოწამე(ვა ვარ (დამტკიცების ნიშნად დასმულია ჯვრები).	3

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, საბუთები გარკვეული კოდიკოლოგიური მახასიათებლებით გამოირჩევიან, რასაც უპირველესად საწერი მასალა, ფორმა და ზომა განაპირობებს. კერძოდ, საბუთები ნაწერია წახნაგოვანი ფორმის ხეზე, წახნაგები შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბუთის შემადგენელი გვერდები; გვერდებს არ უზის თანმიმდევრობის ან სათვალავის აღმნიშვნელი ნიშანი; წახნაგები, ანუ გვერდები ერთმანეთისაგან წიბოებით არიან გამოჯნული (სურ. 5, სურ. 6); წახნაგებზე არ შეინიშნება ჰორიზონტულად ან ვერტიკალურად გაყვებული ხაზების კვალი (ლინირება) ან რაიმე ნიშანი, რომელიც წახნაგს დაყოფდა დაწერილ და დაუწერელ ადგილებად; სტრიქონებს შორის მანძილი არათანაბარია; ტექსტი წახნაგის მთელ ფართობზეა განაწილებული და არ არის დატოვებული ტექსტის ირგვლივ დაუწერელი არე ანუ აშია; უფრო მეტიც, ზოგჯერ სტრიქონი სცილდება საწერად განკუთვნილ არეს და სტრიქონის ან დამოწმებაში მოტანილი გვარის დაბოლოვება, მცირე ზომის წაკვეთილ წახნაგზეა დასრულებული. იხ. I. Qd-7975: ცხრილი 1, წახნაგი II, სტრიქონი 2; სურ. 3 (II), სურ. 5 A; II. Qd-7976: ცხრილი 2, წახნაგი III, სტრიქონი 1, სურ. 4 (III), სურ. 6 A, B.



სურ. 5: Qd-7975, წახნაგოვანი ხის ფრაგმენტი (A); ფრაგმენტის გრაფიკული მონახაზი (B).

Qd-7975-ის ტექსტი, საბუთის მოწობითი ნაწილია, ტექსტის ბოლოს იკითხება: *მე, ფარსმა(ა)ნ ანბარევიანსა დამიწერია და მოწამეც ვარ. ამ საბუთის დასაწყისი აღმოჩნდა, წმ. კვირიკეს ეკლესიაში 1972 წლის ექსპედიციის მუშაობის დროს და დღემდე იქ ინახება (ლაგურკა #3), ანუ საბუთის ტექსტი მოთავსებულია, ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ წახნაგოვან ხეზე. საგულისხმოა, რომ Qd-7975-ს, რომელიც ლაგურკა #3 საბუთის გაგებლებას წარმოადგენს, ტექსტის დასაწყისში დასმული აქვს მცირე ზომის (2,8 მმ.), ერთმანეთის პარალელური, ორი ვერტიკალური ხაზი – || (სურ. 3, წახნაგი I). ასეთივე, ორი პარალელური ხაზი ერთვის Qd-7976-საც (სურ. 4, წახნაგი I), რომელიც Qd-7975-ის მსგავსად, საბუთის მოწობითი ნაწილია (ტექსტის ბოლოს, დამოწმების ნიშნად დასმული აქვს ჯვარები). სამწუხაროდ, მისი დასაწყისი, დღეისათვის ცნობილ, ხეზე დაწერილ საბუთებს შორის არ იძებნება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ: ა) ორ ხეზე განაწილებული ტექსტები უშუალოდ არ უკავშირდებიან ერთმანეთს და დამოუკიდებლად არსებობენ; ბ) მეორე წახნაგოვან ხეზე ტექსტის დასაწყისში დასმული ორი პარალელური ხაზი, პირველ წახნაგოვან ხეზე ნაწერი ტექსტის გაგრძელებას უნდა ნიშნავდეს.*



სურ. 6: Qd-7976, წახნაგოვანი ხის ფრაგმენტი (A, B); ფრაგმენტის გრაფიკული მონახაზი (C).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხეზე დაწერილი კალის ხევის საბუთების კოლექცია 27 ერთეულით განისაზღვრება, აქედან, რიგი საბუთებისა მოთავსებული ყოფილა ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხეზე (სამ ან უფრო მეტ ხეზე მოთავსებული საბუთები დღეისათვის არ დასტურდება). ორ ხეზე დაწერილი ტექსტის სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი საბუთი (ლაგურკა #3 და Qd-7975), 8 არასრული სახითაა წარმოდგენილი და შეიცავს ტექსტის დასაწყისს ან დასასრულს – მოწმობით ნაწილს.²⁸ ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის, ჩვენამდე მოღწეული კალის ჯევის 26 საბუთი დაწერილი უნდა ყოფილიყო 35 (27+8) წახნაგოვან ხეზე.

მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ კალის ჯევის კოლექცია უნიკალურია რამდენიმე თვალსაზრისით: ა) კალის საბუთების სახით ჩვენს ხელთაა XIV–XV სს-ში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ მხარეში – სვანეთში, ხის საწერ მასალად გამოყენების ფაქტი, ბ) საბუთები ნაწერია ქართული ხელნაწერი ტრადიციისათვის სრულიად განსხვავებულ მასალაზე, გ) გარდა იმისა, რომ ხეზე ნაწერი ტექსტები მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა იმ დროინდელი სვანეთის სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესასწავლად, უპირველეს ყოვლისა გამორჩეულად საყურადღებოა, რადგან დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ, ხელნაწერ პრაქტიკაში გამოყენებული ხის არცერთ ფორმას არ იმეორებს,²⁹ დ) კალის თემში იქმნება სრულიად ორიგინალური, გრძივი, წახნაგიანი ფორმის მასალა, რომელიც გამიზნულად, მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულების ტექსტების – იურიდიული აქტების ანუ, ისტორიული საბუთების საწერად გამოიყენებოდა, ე) ხის, როგორც ადგილობრივი, იაფი, ხელმისაწვდომი და მარტივად დასამზადებელი მასალის გამოყენება, XIV–XV საუკუნეებში, მხოლოდ

²⁸ საბუთების ტექსტები – იხ. სილოგავა 1986: 221, 226, 229, 230, 231.

²⁹ Buzi 2015: 138–139; Cleminson 2015: 239–240; Bülow-Jacobsen 2011: 11–14, 23; Figs 1.5; 1.6; 1.14; Bowman & Thomas 1983: 32–45.

სვანეთში და ისიც მხოლოდ კალის ჯეშში, ვფიქრობთ, გამოწვეული უნდა ყოფილიყო სხვა სახის საწერი მასალის³⁰ არ ქონით ან სიმცირით.

და კიდევ, საქართველოში ხის საწერ მასალად გამოყენების საინტერესო ფაქტია, მუგუთის ქვაბებში მოპოვებული ხის ფირფიტა (სემ #1-1994/792)³¹ მხედრული სასწავლო წარწერით, რომელზეც იკითხება: *სწავლაჲ: კეთილაჲ: მონახა: შენსა: გიორგის:*

ზომა: 125/16 მმ. ტექსტი ნაწერია შავი მეღნით, ხის ბოჭკოების პარალელურად,³² განკვეთილობის ნიშანად გამოყენებულია, ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.



A

სწავლა: კეთილაჲ: მონახა: შენსა: გიორგის:

B

სურ. 7: ხის ფირფიტა მხედრული სასწავლო წარწერით (A); წარწერის გრაფიკული მონახაზი (B)

მუგუთის ქვაბები კლდის ძეგლთა კომპლექსს მიეკუთვნება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფეოდალურ ხანაში ამ კომპლექსში უდაბნო-მონასტერი ფუნქციონირებდა, მონასტერში ცხოვრება XIII–XIV საუკუნეში შეწყვეტილა და შემდეგ XVII–XVIII სს. განახლებულა - მოპოვებულია ქალაქზე მხედრული ნაწერი, XVII–XVIII სს. დათარიღებული მონაზონის წერილი, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარების ფრაგმენტი და ზემოთ მოტანილი ხის ფირფიტა მხედრული სასწავლო წარწერით, რომელიც სავარაუდოდ, მონასტერში დროებით მყოფ მოსწავლეს უნდა ეკუთვნოდეს.³³ მასალის სიმცირის გამო, საწერ მასალად ხის გამოყენება მონასტრის სასწავლო პროცესში მიღებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მისი არსებობა, უდაოდ, საინტერესო და საყურადღებო ფაქტია.

³⁰ ჯეშის ეკლესიაში დაცული ხელნაწერების დაუწერელი ადგილები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის კალის ჯეშის საბუთებიდან, მხოლოდ ერთია ნაწერი ხელნაწერი წიგნის აშიებზე; იხ. სურ. 1 A, სქოლიო 8.

³¹ დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

³² ხის ჯეშის იდენტიფიცირებისა და მეღნის ანალიზი ამ ეტაპზე არ ჩატარებულა. ამ შემთხვევაში ვიზუალური შესწავლისა და ციფრული ასლების გამოყენებით, მეღნის სავარაუდო ტიპის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, დადგინდა, მხოლოდ ხის ბოჭკოების მიმართულება.

³³ მუგუთის ქვაბები მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრი წყაროს რაიონში, სოფ. დაღეთის სამხრეთ აღმოსავლეთით (41°30'33" N, 44°34'18" E). მუგუთის ქვაბები შესწავლილია ნ. ბახტაძის მიერ, მის მიერვე აღმოჩენილი მოტანილი მასალა (ბახტაძე 1988: 33–40, ბახტაძე 1991: 70–82).

დამოწმებული ლიტერატურა

- ბახტაძე (1988): ნოდარ ბ., „მუგუთის ქვაბები“, *ძეგლის მეგობარი* 2, 33–40. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/27836>.
- (1991): ნოდარ ბ., *ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა*. წიგნი 1. თბილისი: საქართველო.
- ბეზარაშვილი (2015): ქეთევან ბ., „კორიდეთის ოთხთავის ისტორიისათვის“, *მრავალთავი* 24, 44–54. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/259137>.
- ბერძნიშვილი (1968): მამისა ბ., „სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV–XV საუკუნეების სვანეთის სოციალური ისტორიისთვის“, *ქართული წყაროთმცოდნეობა* 2, 105–132. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/333366>.
- გაგნიძე და სხვ. (2015): *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები. კატალოგი, შემდგენლები: გრიგოლ გ., შალვა გლოველი, დარეჯან გოგაშვილი, მაია კარანაძე, თამარ ოთხმეზური, ნესტან ჩხიკვაძე, შალვა გლოველის რედაქციით*. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. <https://www.academia.edu/32690439>.
- გოგაშვილი (2014): დარეჯან გ., *ხელნაწერები, სვანეთის მუზეუმში, კატალოგი*. ტექსტის ავტორები: ლეილა ფანცხავა, ნინო ლორთქიფანიძე, მაია პატარიძე, რუსუდან ქოჩიანი, ნინა კიტოვანი, დარეჯან გოგაშვილი, მანანა ხიზანიშვილი. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
- ინგოროყვა (1941): პავლე ი., *სვანეთის საისტორიო ძეგლები*. ნაკვეთი მეორე: *ტექსტები*. თბილისი: მეცნიერებათა აკადემია. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/65818>.
- მეტრეველი (1950): *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია*. IV, შეადგინა და დასაბუჟდად მოამზადა ელენე მეტრეველმა. თბილისი: მეცნიერებათა აკადემია. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/266727>.
- მეტრეველი და სხვ. (1978): *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია*. ნაკვეთი I, შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს ელენე მეტრეველმა, ციალა ჭანკიევმა, ლილი ხევსურიანმა, ლალი ჯღამაიამ. თბილისი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/268226>.
- სილოგავა (1973): ვალერი ს., „ისტორიული საბუთები ლაგურკიდან“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1973/3, 167–184. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/168999>.
- (1986): ვალერი ს., *სვანეთის წერილობითი ძეგლები X–XVII საუკუნეებში*. I: *ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები*. თბილისი: მეცნიერება. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/268372>.
- (1989): ვალერი ს., *კორიდეთის საბუთები (X–XIII სს)*. თბილისი: მეცნიერება. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/150779>.

- (2008): ვალერი ს., „სვანების გადაწერილი ან შეკვეთილი ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთების დამწერი სვანი მწიგნობრები“, *სვანეთი – ქართული კულტურის სვანე*, თბილისი: ხვამლი, 187–229. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/236408>.
- შანიძე და სხვ. (1977): *ჭილ-ეგრატის იადგარი*, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს აკაკი შანიძემ, არამ მარტიროსოვმა, ა. ჯიშაიშვილმა (ძველი ქართული ენის ძეგლები, 15). თბილისი: მეცნიერება.
- (2017): მზექალა შ., კვლავ პაპირუსის ფსალმუნის შესახებ, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, III, თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 191–216.
- ჩართოლანი (1975): მ. ჩართოლანი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიაბეჭ*, 31, 165–184. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/421596>.
- ჯავახიშვილი (1947): *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*. დასაბეჭდად მოამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/10389>.
- Bausi et al. (2015): *Comparative Oriental Manuscript Studies*, ed. by Alessandro B., Pier Giorgio Borbone, Françoise Briquel-Chatonnet, Paola Buzi, Jost Gippert, Caroline Macé, Marilena Maniaci, Zisis Melissakis, Laura E. Parodi, Witold Witakowski; Project editor Eugenia Sokolinski. Hamburg: Tredition. <https://www.aai.uni-hamburg.de/en/comst/publications/handbook.html>.
- Bowman & Thomas (1983): Alan. K. B. and J. David Th., *Vindolanda: the Latin Writing-Tablets* (Britannia Monograph Series, 4), London: Society for the Promotion of Roman Studies. <https://archive.org/details/vindolandalatinw0000bowm>.
- Bülow-Jacobsen (2011): Bülow-Jacobsen, A., “Writing Materials in the Ancient World”, in Roger S. Bagnall (ed.), *The Oxford Handbook of Papyrology*, Oxford: Oxford University Press, 3–29. <https://www.scribd.com/document/622965955>.
- Buzi (2015): Buzi P., “Coptic codicology”, in Bausi et al. (2015), 137–153.
- Cleminson (2015): Ralph. M. C., “Slavonic codicology”, in Bausi et al. (2015), 235–251.
- Garitte (1958): *Le calendrier palestino-géorgien du sinaïticus 34 (X^e siècle)*, édité, traduit et commenté par Gérard G. (Subsidia hagiographica, 30), Bruxelles: Société des Bollandistes. <https://archive.org/details/lecalendrierpale0000unse>.
- Gippert (2013): Jost G., “The Gospel Manuscript of Kurashi. A preliminary account”, *Le Muséon* 126/1–2, 83–160.
- (2015): Jost G., “Georgian codicology”, in Bausi et al. (2015), 175–186.
- Gippert & Outtier (2021): Jost G. and Bernard Ou., “The Oldest Georgian Psalter – a Preliminary Account”, *მრავალთავი / Mravaltavi* 27, 41–65. <https://titus.uni-frankfurt.de/personal/jg/pdf/jg2021f.pdf>.
- Vasileva (2019): Olga V., *Georgian Manuscripts in the National Library of Russia / Ольга Валентинова Васильева, Грузинские рукописи в Российской Национальной*

Библиотеке. Saint-Petersburg: National Library of Russia. https://rusneb.ru/catalog/000200_000018_RU_NLR_BIBL_A_012235057/.

Бердзнишвили (1988): М. М. Б., “Грузинские документы на деревянных дощечках”, *Источниковедческие разыскания 1985*, Тбилиси: Мецниереба, 281–284. http://apsnyteka.org/1949-istchnikovedcheskie_razyskania_1985_1988.html.

Епископ Григории (1893): *Погъзка в Сванетию для обозрѣнія церквей* Гурійско-Мингрельскаго епископа Григорія. Поти: Тугуши.

Цагарели (1888): Александръ Антонович Цагарели, *Памятники грузинской старины в Святой Землѣ и на Синаѣ* (Православный Палестинский сборник, 4/1). С.-Петербургъ: Правосланое палестинское общество. <https://books.google.de/books?id=5xotAAAAYAAJ>.

საარქივო მასალა

ხეც, ელ. მეტრეველის ფონდი, № 369.

Wood as a Rare Writing Material in Georgia. According to Svan Historical Documents of the 14th–15th Centuries

Darejan Gogashvili (Tbilisi)

DOI: <https://doi.org/10.62235/dk.4.2025.10510>
gogashvilid@gmail.com || ORCID: [0000-0001-8287-9845](https://orcid.org/0000-0001-8287-9845)

The writing material for Svan historical documents was mainly the margins of manuscripts kept in the churches of Svaneti. These documents possess no connection to the text of the manuscript itself; they exist independently and are known as marginal historical documents. Documents written on wood are rare.

Wood was not used as a writing material in Georgia in general. It appears only in Svaneti, specifically within the Kala community. The documents of this community are written exclusively on wood cut into three-, four-, five-, or seven-sided pieces; they date back to the 14th–15th centuries and contain community decrees and resolutions, as well as agreements concluded between communities and private individuals. The documents on wood are distinguished by specific peculiarities, conditioned primarily by the writing material and its form.

The study of Svan historical documents began in the 1830s. Numerous publications have been dedicated to their research; however, wood as a writing material has not been the subject of research or study: Svan historical documents were published merely as written historical sources. Consequently, there is no publication that presents the rules regarding the making of and usage of this rare writing material, which is completely unique within Georgian manuscript practice.

This paper discusses two such documents preserved at the National Centre of Manuscripts. Their codicological characteristics are presented, with a focus on their form, the number of faces, and the organization of the text. Wood, as a rare writing material in the 14th–15th centuries in Georgia, specifically in Svaneti, one of the most high-altitude historical-geographic regions, is discussed within the unified historical context of the medieval Georgian manuscript tradition.